Art CROSS

ხელოვანთა კანვითარების ფესტივალი

თბილისი 2-6 სექტემბერი 2019





ღმერთი არის შემოქმედი და მან ჩვენში ჩადო შემოქმედების უნარი!

2019 წლის 2-6 სექტემბერს მესამედ საქართველოში ჩატარდება ხელოვანთა განვითარების ფესტივალი “ART.CROSS”.

შეხვედრის ადგილი - ქ.თბილისი ერისთავი ქ.N1
(სახარების რწმენის ეკლესიის შენობა)

მიზანი: გვსურს ვაშენოთ ღმერთის სამეფო

- დავამყაროთ ცოცხალი ურთიერთობა იესო ქრისტესთან.
- ხელი შევუწყოთ შემოქმედებით ზრდას და პროფესიულ სწავლებას.

ხედვა

Art/ხელოვნება: ყოველი ადამიანი შექმნილია ღმერთის ხატად და მსგავსად. გავზარდოთ ჩვენში შემოქმედებითი უნარი და შევუდგეთ პროფესიული ხარისხის სწავლებას!

Cross/ჯვარი**:** გვწამს იესო ქრისტე და ვაღიარებთ მის მეფობას ჩვენს ცხოვრებაში. პატივს ვცემთ სხვა დენომინაციებს და სიხარულით ვიღებთ ადამიანებს, რომლებიც ჯერ არ იცნობენ იესოს.

Art.Cross - ჯვარი/ხელოვნება: ღმერთისგან ბოძებული უნარი გამოვიყენოთ მის სადიდებლად!

ჩვენ დავძლევთ:

შემოქმედებით საზღვრებს — ვცადოთ!
სოციალურ საზღვრებს — ვითანამშრომლოთ!
დენომინაციურ საზღვრებს — პატივი ვცეთ ერთმანეთს!
ურთიერთობით საზღვრებს — შევხვდეთ ძველ მეგობრებს და შევიძინოთ ახალი მეგობრები!

თქვენ გელით:

- საერთო მსახურება (ქება-თაყვანისცემა და ღმერთის სიტყვა)
- საინტერესო და ნაყოფიერი ჯგუფური სემინარები
- ყოველ საღამოს განსხვავებული პროგრამა, სადაც ასევე შეძლებთ წარმოაჩინოთ თქვენი ნიჭი.
- თბილი და მეგობრული გარემო
- ორჯერადი კვება
- სხვა უამრავი სიურპრიზი

სემინარზე დასწრების ღირებულება 100 ლარი. აუცილებელია წინასწარ თანხის დაფარვა და რეგისტრაცია.

ორგანიზატორები

ნინო გოგსაძე - ქება-დიდების მსახურების, სტუდია “Art Station” და “Art. Cross” ,Georgia ხელმძღვანელი.

თეა მახარაძე — სტუდია “The Art Station” ის მასწავლებელი, ქება-დიდების მსახური, ქორეოგრაფი.

გიორგი შუბითიძე — მუსიკოსი, ქება-დიდების მსახური, ძალიან ბევრი საქმის ორგანიზებისას დიდი საყრდენი.

მარიამ ტუსიაშვილი -საბავშვო პროგრამების ორგანიზატორი, ორგანიზაცია „Orphan’s Promise“-ის ბავშვთა ფსიქოლოგი.

ნათია ჯოხაძე — ქება-დიდების გუნდის მსახური, თარჯიმანი.

ლაშა კაკაშვილი - სტუდია “The Art Station” ის მასწავლებელი, მუსიკოსი, ქება-დიდების მსახური, დანაშაულის პრევენციის ცენტრის პროექტების მენეჯერი.

დღის განრიგი:

09:30 ანიმაციური ფილმი
10:00 დილის მსახურება
11:00 -14:00 სემინარი
14:00 სადილი
15:30 სემინარი
18:00 ვახშამი
19:00 საღამოს პროგრამა

საღამოს პროგრამები:

1. მოგზაურობის დასაწყისი
2. გადასასვლელი მეორე ხაზზე
3. შეხვედრა შემოქმედთან
4. იმპროვიზაცია
5. ბოლო აკორდი

599 371 115 ნინო გოგსაძე / 598 222 039 მარიამ ტუსიაშვილი
Art Cross in Georgia
ArtCrossGeorgia@gmail.com

ცეკვის სემინარი

ალამანდე ბელფორ

არის მოცეკვავე, ქორეოგრაფი, მოდელი და ბიზნესმენი. ცეკვის სპეციალისტი, როგორც ჯაზ, ასევე ქუჩის ცეკვებში.
2000 წლიდან შოუ ბიზნესის სამყაროში უძღვება საკუთარ Bigsmile პროდუქციას.

2008 წლიდან აქვს საკუთარი ფიტნეს და ცეკვის სტუდია Bigsmileplace. ავსტრიაში ცნობილია, როგორც სტარმანიას და მის ავსტრიის ქორეოგრაფი. აქვს ბევრი სატელევიზიო გამოსვლები და შოუ პროგრამები.

www.bigsmile.at

ცეკვა განწყობის შექმნის საუკეთესო საშუალებაა!

სემინარი მოიცავს რამდენიმე სტილს:
ბრეიკდანსს, ჰიპ-ჰოპს, ლათინურს და ქუჩის ცეკვებს.
გარდა ამისა გვექნება მოზიარეობა და ლოცვა.

მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა 25. ასაკი 12 დან ზევით.

პერკუსიის სემინარი

შესანიშნავად უკრავს პერკუსიაზე, ამიტომ მისი გაკვეთილები არის ძალიან საინტერესო, მრავალფეროვანი და სიღრმისეული ცოდნის მომცემი. გელოდებით!

ვილი პლატცერი

მისი მუსიკალური კარიერა დაახლოებით 22 წლის წინ დაიწყო. არის სოლისტი და რამოდენიმე სიმღერის ავტორი, ასევე მღერის ბექ ვოკალში და უკრავს ბენდში. ხელმძღვანელობს ვენის პოპ-მუსიკის სკოლას, ასწავლის პერკუსიაზე დაკვრას, ატარებს სემინარებს და მუშაობს ადამიანებთან, რომლებიც ფსიქიკურად არიან დაავადებულნი. აქვს განსაკუთრებული სიყვარული მუსიკისადმი. რაც უფრო მეტად უცნაურია ინსტრუმენტი მით უფრო მეტად იხიბლება მისით.

ერიკ ვერლინი (A CH)

მსახიობი. დაიბადა და გაიზარდა შვეიცარიაში. ცხოვრობს ქალაქ ზალცბურგში. დაამთავრა საშემსრულებლო ხელოვნების კოლეჯი ვენაში, განათლების მიღება გააგრძელა ბალტიმორში (აშშ). 30 წელია მოღვაწეობს სხვადასხვა თეატრებში: სახალხო თეატრი, ხელოვანების სახლი-ვიენა, მიუნხენი, კიოლინი, ამერიკა, ზალცბურგის ფესტივალი. სატელევიზიო ფილმებში გაკეთებული აქვს ხუთი სოლო პროგრამა. არის ხმის და სამსახიობო ოსტატობის მწრთვნელი, ასევე წიგნის ავტორი.

სამსახიობო ოსტატობა

www.admiral-wehrlin.de

Free to act!! როლის გაცნობა და გაანალიზება, სამსახიობო ხელოვნების განვითარება, იმპროვიზაცია, სცენარის დამუშავება, როლის სხეულებრივი ენით გამოხატვა, რეკვიზიტები, სპექტაკლისთვის განკუთვნილი ადგილი და მოქმედება.

პიესის შესრულება: ემოციის წარმოქმნა, განვითარება და დასრულება. მომზადება სცენაზე გამოსვლისთვის: მონოლოგის და დიალოგის გამომუშავება, თეატრალური სცენარის დაწერა.

მონაწილეთა მაქსიმალური რაოდენობა 14. ასაკი 15 დან ზევით.

დევიდ ჰაუზერ

დაიბადა 1968წ. ვენაში, მიუნიხში და ლინცში სწავლობდა როკ და ჯაზ გიტარას. მისი გამორჩეული პროექტი: სოლო კონცერტი საკუთარი კომპოზიციებით, რომლებიც იყო ბლუზის, როკის, ჯაზის და ფოლკის ნარევით გაჯერებული. ის ასევე უკრავს ბენდ „Coffee-Club-Band“ და „Gospel Noize Choir“. 1999 წლიდან ქალაქ ზალცბურგში (ავსტრია), მუსკალურ სკოლა „Musikum“, ში ასწავლის ელექტრო და აკუსტიკურ გიტარას.

www.davidhauser.net

5 აკუსტიკური გიტარის სემინარი

ამ სემინარზე ძირითადი აქცენტი იქნება ერთად დაკვრასა და ვარჯიშზე. რითმების შერწყმა ნამდვილად შეეხება ჩვენს სულს. მნიშვნელობა არ აქვს რა დონეზე ფლობ გიტარას, თუ უკრავ ძირითად აკორდებს, მაშინ შეგიძლია შემოგვირთდე. მაგრამ სემინარი ასევე იქნება გამოწვევა და შთაგონება უკვე გამოცდილი დამკვრელთათვის, რადგანაც სიმღერებს ვაკეთებთ საწყის, საშუალო და მაღალ დონეებზე.

სამი ძირითადი ასპექტი:

აკორდები/რითმი, მელოდიის და სოლოს დაკვრა.

უპირველესი და ყველაზე მნიშვნელოვანი სამუშაო გიტარისტის-

თვის, არის შეძლოს აკორდებით აკომპანირება. თუმცა, რაც შეეხება მუსიკალურ რითმებს - ჩვენ გავჩერდებით და ყურადღებას გავამახვილებთ რითმებზე, რათა უკეთ გავიგოთ როგორ დავუკრათ სიმღერები. ადვილი აკორდებიდან პროგრესის მიღება ასევე არის ჩვენთვის გამოწვევა და ვიმუშავებთ ბგერის გამოხატვასა და შეგრძნებაზე.

სხვა ასპექტები: ერთი და იგივე აკორდის სხვადასხვა ფორმები, ბლუზი, როკი და გოსპელი, ჯაზის საფუძვლები..

ლითონის გრავირების და ძვლის კვეთის სემინარი

ირინა ივანოვა

დაიბადა 1965 წელს იჟევსკში, რუსეთი. ქალაქ იჟევსკის უნივერსიტეტში დაამთავრა სამხატვრო გრაფიკოსის ფაკულტეტი. ასწავლიდა სკოლაში, ასევე დაკავებული იყო მინიატურული ფერწერით. 2001 წლიდან დღემდე, კომპანია "БАСКО" —ში რკინის საკვეთი მანქანით მუშაობს ძვლის კვეთის და ლითონის გრავირებაზე. გაკეთებული აქვს საავტორო პროექტები და ნამუშევრები. მისი შექმნილი დანები მონაწილებდა საერთაშორისო გამოფენებში, რომლებიც მოეწყო მოსკოვში, გერმანიაში და ნიურბერგში.

შევისწავლით: საკვეთი (საბურღი) მანქანით წერას და ორნამენტების კვეთას მეტალზე და სხვა მასალებზე (მაგ: კოვზებზე, საათებზე, სამკაულებზე). სამგანზომილებიანი ფიგურების კეთებას (მაგ: ადამიანის ან ცხოველების ფიგურები). ძვალზე ხატვას და სამკაულების გაკეთებას. ასევე თუ როგორ შევქმნათ დანის პროექტი და დავამზადოთ დანები მეტალისაგან და ძვლისაგან.

ნამუშევრები იხილეთ მომდევნო გვერდზე

ДРАМИС СЕМИНАРИ

კრისტიან ჰერბსი

ბავშვობიდან მუსიკას დიდი როლი ეჭირა მის ცხოვრებაში. 5 წლის ასაკში დაიწყო ჩელოზე დაკვრა 13 წლის ასაკში კი როცა მისი როკ ბენდი იქმნებოდა დაიწყო დრამზე დაკვრა. ისწავლა კლასიკური დრამის დაკვრა კლაგენფურტის უნივირსეტეტში, ავსტრია. უკვე თითქმის 10 წლის განმავლობაში ის უკრავს სხვადასხვა ბენდებში ორკესტრებში. 2012 წლის შემდეგ ის ჩამოყალიბდა, როგორც მულტი ინსტრუმენტალი. მოღვაწეობს დამოუკიდებელ პოპ-როკ ბენდ SOLARJET-ში და უკრავს ფესტივალებზე, კლუბებში და ყველა რეგიონში, სადაც გერმანულად საუბრობენ.

აქვს უამრავი სტუდიო სესიები და შოუები. არის დრამის მასწავლებელი, როგორც დამწყებთათვის, ასევე უკვე გარკვეული ცოდნის მქონეთათვის. მოცარტის ქალაქ ზალცბურგში ასწავლის პოპ მუსიკის სკოლაში, სადაც მას ასევე აქვს სხვადასხვა სემინარები და კურსები ბენდებისთვის. მაღალ პროფესიონალიზმთან ერთად, მისი სწავლების მეთოდებში მნიშვნელოვანია სიხარული და მიძღვნა.

ყურადღებას ამახვილებს თეორიაზე, მაგრამ მას აქვს სწავლების ინდივიდუალური ხასიათი და პროგრამები. ეს ყოველივე მის გაკვეთილებს ქმნის უნიკალურს და სტუდენტებისთვის უფრო შინაარსიანს.

ჩვენ ვიმუშავებთ:
მოსამზადებელი გასახურებელი სავარჯიშოები, ხელის და ფეხის ტექნიკა, დიაგრამის კითხვა, მუსიკალური ჟანრები და რითმები (ლათინური, ჯაზი), ბასისა და მუშას გადანაცვლებები, დაფარული ბგერის კონცეფცია, რითმის გაგების, წარმოდგენის უნარი, დროის დანაწილება, კოორდინაცია, დამოუკიდებელი ვარჯიში, დინამიკა დაკვრისას, როგორ ჩამოაყალიბო ბენდი და როგორ დაუკრა ბენდში, დასარტყამი და საბაზისო უნარჩვევები, დასარტყამის აწყობა და როგორ მოამზადო ის ჩაწერისთვის ან ცოცხალი კონცერტისთვის.

დაგვჭირდება: სიმღერები და ბენდები, რომლებიც მოგწონთ, ყურსასმენები, სავარჯიშო პადი, რვეული, დრამის ჯოხები, ბევრი სიხარული და მოტივაცია!

მირიამ ფუშსბერგერ

3 ოკალის და გუნდის სემინარი

მირიამი ჯერ კიდევ ბავშვობიდან მღეროდა სხვა და სხვა გუნდში. თინეიჯერობის ასაკში მას ჰქონდა შეხება გოსპელის მუსიკასთან. მას მაშინვე შეუყვარდა გოსპელი და ასეა დღემდე. ის სწავლობდა ჯაზ მუსიკას თავის ქალაქში.

20 წლის ასაკიდან არის ავტორიზებული მასწავლებელი, ასწავლის სხვა და სხვა გუნდს და ასევე მუშაობს მომღერლებთან. ამჯამად ასწავლის პოპს, ვენაში არსებულ მუსიკალურ უნივერსიტეტში და ხელმძღვანელობს დიდ გოსპელის გუნდს.

დაბადებისას, პირველივე წუთიდან, ამოსუნთქვისთანავე ჩვენი ხმა ჩვენთანაა! მხოლოდ ამის შემდეგ ხდება ჩვენი ხასიათისა და ხმის განვითარება. სიმღერა როგორც საუბარი ასევე ორიგინალური ინსტრუმენტია, რომელსაც ვფლობთ. თუ შენი მიზანია აიღო მაღალი, დაბალი, ჟღერადი და რბილი ბგერა, მაგრამ ამ დროს შენს ვოკალურ საზღვრებს ვერ სცდები!!!

იცოდე ამ ვოკალის და გუნდის ჯგუფში განვავითარებთ მყარ პრინციპებს ჯანსაღი ხმისთვის. ასევე გვინდა განვავრცოთ სხვა და სხვა ჟღერადობის ხმები, რაც კი ადამიანს გააჩნია და მის შესაძლებლობაშია. დავამუშავებთ საგუნდო სიმღერებს და ასევე იქნება შესაძლებლობა იმისა, რომ ვიმუშაოთ სოლო სიმღერებზეც.

ფრენკ და ნინა კრამერები

მოგვემსახურებიან ღმერთის სიტყვის ქადაგებით

ნინა კრამერი - დაიბადა ვენაში (ავსტრია) 1973. ფრენკზე დაქორწინდა 23 წლის წინ. ჰყავთ 2 ზრდასრული შვილი. იგი არის მწყემსი ეკლესიაში, რომელსაც „ქვაკუთხედი“ ეწოდება. ასევე არასრული დროით მუშაობს, მისსავე ქალაქის მარჩტრენკის ბიბლიოთეკაში.
საკუთარ თავს შემოქმედებით მქადაგებელს უწოდებს. გამორჩეულია მისი მულტიმედიური და მრავალფეროვანი ქადაგების სტილით. როგორც ხელოვან მწყემსს გავლილი აქვს შინაგანი კურნების კურსები. არის გულების მისიონერი და მისი ცხოვრების მეტი ნაწილი ემსახურება ახალგაზრდებს.
ნინა ხელმძღვანელია “ART.aCROSS.AUSTRIA” (www.artcross.at).
ნინა: მოუთმენთმენლად ველოდები საქართველოში ჩამოსვლას. მე მიყვარს ეს ქვეყანა, მათი ხელოვნება, საჭმელი და ყველაზე მეტად ქართველი ხალხი. ერთი სული მაქვს როდის ჩამოვალ.

ფრენკ კრამერი - დაიბადა 1969წ გერმანიაში. 2 წლის ასაკიდან ცხოვრობს ავსტრიაში. შვეიცარიაში ბასელის „FTH“ უნივერსიტეტში 6 წელი სწავლობდა თეოლოგიას. არის კარგი მასწავლებელი და მისი გული ანთებულია მახარებლობის ძალით. ოჯახის უზრუნველყოფისთვის მას არაერთ სამსახურში მოუწია მუშაობა,მაგრამ ყოველთვის პოულობდა დროს, რათა ესწავლებინა სხვადასხვა ასაკის ადამიანებისათვის: ბავშვებისთვის, სტუდენტებისთვის და მოზარდებისთვის. ამჟამად მუშაობს მისიონრად, ირანელ და ავღანელ ლტოლვილებთან. ასევე არის მუსიკოსი, შესანიშნავად უკრავს გიტარაზე და კარგად უძღვება თაყვანისცემის მსახურებას.

ნინო ცხვარაძე

მუსიკა მისი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. არის პიანისტი. მისი მთელი არსება შეიგრძნობს და გამოხატავს მისივე თითების მოძრაობის შედეგად წარმოქმნილ საოცარ ჰანგებს. სწავლობდა მუსიკალურ სკოლაში საფორტეპიანო გაყოფილებაზე.
შემდეგ დაამთავრა მუსიკალური ათწლედი და ასევე ვ.სარაჯიშვილის სახელობის კონსერვატორია. უკრავს სახარების რწმენის ეკლესიის ქება-დიდების ბენდში. არის საოცარი ადამიანი, აღსავსე უდიდესი პასუხისმგებლობით.

ვლავიშის სემინარი

ჯგუფში შევისწავლით: სიმღერების აკომპანირებას, გავარჩევთ სხვადასხვა მუსიკალური მიმდინარეობის ნიმუშებს, ვისწავლით თუ როგორ შევქმნათ ძველისგან ახალი, გავივლით ჯაზურ აკორდებს. გავარჩევთ გოსპელის და ჯაზის კომპოზიციებს.

სტუდენტების მაქსიმალური რაოდენობა 7. ასაკი 13 დან ზევით.
გთხოვთ მოიტანოთ: თქვენი ინსტრუმენტი და ყურსასმენები.

გუნდის ხელმძღვანელობა - პოპი/ჯაზი/გოსპელი

რიჩარდ გრისფელდერ

მუსიკა შეისწავლა ვენაში. ხელმძღვანელობს "პოპ მუსიკის სკოლას:" ზალცბურგში, ლინცში და ვენაში. არის თაყვანისცემის ხელმძღვანელი, ლოტბარი, კომპოზიტორი, არანჟირების ხელმძღვანელი, ბიზნეს-მწრთვნელი და ასევე ქმნის ახალ პროექტებს. არის დირექტორი და მასწავლებელი მუსიკალური სემინარების. აქვს გამოცდილება პოპის, ჯაზის, როკის, შავი გოსპელის და მსოფლიო მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობებში.აქვს გამოცდილება პოპის, ჯაზის, როკის, შავი გოსპელის და მსოფლიო მუსიკის სხვადასხვა მიმდინარეობებში. ის არის ზალცბურგის გოსპლის გუნდის (Gospelnoize) ხელოვნების განხრით ხელმძღვანელი და თანადამფუძნებელი, რომელიც 2011 წლიდან დიდი წარმატებით დგას სცენაზე.

არც ისე ბევრი რამ აღგაფრთოვანებს და შთაგაგონებს იმაზე მეტად, ვიდრე მაღალი კლასის ენერგიული პოპი ან გოსპელის გუნდი. გავუძღვე ერთ-ერთ ასეთ გუნდს, ეს ჩემთვის ყველაზე მიმზიდველია. ამ ჯგუფში ჩვენ განვიხილავთ სხვა და სხვა პრობლემას, რომელიც გვხვდება გუნდის ხელმძღვანელობისას.

- გუნდის ფსიქოლოგია - როგორ მივცეთ სწორი მოტივაცია. გვექნება კომუნიკაცია და ასევე პოზიტიური კრიტიკა, რაც მომღერლებს მიიყვანს მაქსიმალურ შედეგებამდე.
- ხელმძღვანელობა
- დირიჟორობის ტექნიკა
- როგორ ვირეპეტიციოთ სხვა და სხვა მეთოდით, რომ ეფექტურობა გავზარდოთ
- ვივარჯიშებთ ვოკალის ტექნიკაზე გუნდებისთვის.

მნიშვნელობა არ აქვს გამოცდილი ხართ, თუ ახალბედა გუნდის ხელმძღვანელობაში. ეს სემინარი შთაგონებაიქნება თქვენთვის და მოგცემთ ბევრ შესაძლებლობას, რომ განვითარდეთ როგორც კარგი ხელმძღვანელი, ასევე დირიჟორი. მიუხედავად თქვენი გამოცდილების დონისა, ჩვენ შეგიქმნით ისეთ გარემოს სადაც თავს დაცულად იგრძნობთ, რათა წინ წახვიდეთ.

მონაწილეთა რაოდენობა: 6-15
დონე: დამწყებები და უკვე გამოცდილები
წინასწარი მოთხოვნა: ძირითადი უნარი ნოტების კითხვის და სხვადასხვა ხმებში სიმღერის გამოცდილება.

საქსაფონის სემინარი

რუპერტ სტელზერი

რუპერტ სტელზერი არის ვენიდან, ავსტრია. ის საუკეთესოდ უკრავს ყველა საქსაფონზე (სოპრანო და ბასი) კლასიკას, ჯაზს, კონტეპორარს, თანამედროვე მუსიკას და ასევე აღმოსავლურ მუსიკას. მას სწამს უფალი იესო და როგორც მუსიკოსი აქტიურად არის ჩართული თაყვანისცემაში და ლოცვაში. 20 წელზე მეტია, საფრანგეთისა და ავსტრიის მუსიკალურ სკოლებში ასწავლის, როგორც მოზარდებს, ასევე ზრდასრულ სტუდენტებს. რამდენიმე ბენდი და პროექტი, სადაც ის მოღვაწეობს:

The Peeled Onions (jazz trio), Orphie-Band (oriental quartet), Gospel Project (gospel choir), NAI-orchestra (classical-oriental symphonic orchestra), VNW (Vienna Night of Worship), Konvergenzen (classical contemporary chamber music), njsax21 (saxophone ensemble of the 21st century).

როდესაც საქსაფონისტი ანვითარებს და იყენებს დაკვრის ყველა ასპექტს, მაშინ მას სულიერი წვლილი შეაქვს ბენდში, თაყვანისცემისთვის. მუსიკოსები აყალიბებენ და განსაზღვრავენ ბენდის საერთო "ხმას, ჟღერადობას", და ეს ხდება შეუცვლელი ელემენტი, რაც არაფრის "დამატებას" აღარ საჭიროებს.

ჩვენ განვიხილავთ:

- მუსიკის შექმნის ცნებები და უნარები თაყვანისცემისა და ლოცვისთვის, მათ შორის წინასწარმეტყველური დაკვრაც.
- პრაქტიკული გამოყენება სხვადასხვა ჰარმონიის, რითმის, და მელოდიური კონცეფციის მარტივიდან/შიდა/კომპლექსური ხაზი/გარე/კუთხოვანის ჩათვლით.
- ძირითადი ტექნიკა მოიცავს: ჟღერადობის წარმოქმნას, ობერტონულ სავარჯიშოებს (საქსაფონი-ჩოფარი), ინტონაცია, დინამიკა, არტიკულაცია, რეგისტრი, სპეციალური სიტუაციისთვის ექსტრემალური ტექნიკა და გრძლიობის განვითარება.

შესაძლებელია გერმანულ, ინგლისურ და ფრანგულ ენებზე მუშაობა. დიდი მოლოდინი მაქვს, რომ შეგხვდებით 2019 წლის სექტემბერში.

სოლომონ ყავრელიშვილი

სოლო გიტარის სემინარი

თოთხმეტი წელია უკრავს და საუკეთესოდ ფლობს ინსტრუმენტს. დაამთავრა 7 წლიანი მუსიკალური სასწავლებელი. ექვსი წელია ატარებს ინდივიდუალურ და ჯგუფურ გაკვეთილებს. ასწავლის სახარების რწმენის ეკლესიის ხელოვნების სკოლაში „The Art Station" და თორმეტი წელია უკრავს ამავე ეკლესიაში. ასევე ის პედაგოგია „Georgian drum scool"-ში. რამდენიმე თვეა უკრავს ქავერ ბენდში. არის პოზიტიური ადამიანი, გამოცდილი და გულიანი მასწავლებელი.

ვფიქრობ, ჩემი პროფესიული საქმინობა, გამოცდილება, უნარ-ჩვევები და თვისებები დამეხმარება ვიყო, ღირსეული გიტარის პედა-გოგი არტ ქროსის ფესტივალზე. რადგან ფესტივალი მოკლე-ვადიანია, მოითხოვს სწრაფ და ეფექტურ მუშაობას და მაქსიმალური ცოდნის გადაცემას მოსწავლეთათვის, ეს ჩემთვის კიდევ ერთი გამოწვე-ვა იქნება. პროგრამა შედგება თეორიული და პრაქტიკული ნაწილისა-გან. თეორია მოიცავს ბგერის, ინტერვალების, აკორდების, აკორდული სისტემის, გამური სისტემისა და იმპროვიზაციის შესავლებისგან. ხოლო პრაქტიკული სავარჯიშოები იქნება მრავალი სახის. ასევე ყურადღება გამახვილებული იქნება ტექნიკებზე, როგორიცაა ვიბრაცია, ბენდი, ტე-პინგი სვიპი, პიქინგი, ხელების ჭერა, დაგუდვასა და გოუსთ ნოტებზე.

დასწრება შესაძლებელია გარკვეული ცოდნის მქონე გიტარისტე-ბისათვის.

ბას გიტარის სემინარი

მატიას გრისფელდერ

ის გაიზარდა მუსიკოსის ოჯახში, ამიტომ მუსიკას ძალიან დიდი ადგილი უჭირავს მის ცხოვრებაში. შესაბამისად, მან გააცნობიერა, რომ მხოლოდ კი არ უნდა ვუსმინოთ მუსიკას, არამედ თავად შეგვიძლია შევქმნათ ის. პირველად 10 წლის ასა-კში დაიწყო ბას გიტარაზე დაკვრა.

15 წლიდან უკრავს განსხვავებული ჟანრის მუსიკას: პოპს, როკს, გო-სპელს, ჯაზს და მეტალს. უკვე 10 წელია ასწავლის ბას გიტარას და ასევე გიტარას, როგორც ბენდებში, ასევე ინდივიდუალურად.

ბას გიტარა დღევანდელი მრავალი განვითარებული მუსიკის სა-ფუძველია. იგი საჭიროა იმისათვის, რომ სიმღერა სრულად გაცოცხლდეს ბენდში, მაგრამ ის ხშირად შეუმჩნეველი ინსტრუმე-ნტია. ჩვენ გადავხედავთ იმას, თუ რა არის რეალურად მნიშვნელო-ვანი და როგორ შეგვიძლია სიმღერის ჟღერადობა უკეთესი გავხადოთ. ვიმუშავებთ რითმზე და გრუვზე, თუ როგორ დავუკრათ სხვა და სხვა სიტუაციაში. განვიხილავთ, როგორ შევქმნათ სხვებისთვის შემოქმედე-ბითი სივრცე, რათა ისინი ბენდს შემოუერთდნენ.

ტყავის აქსესუარების დამზადება

ჩვენ შევისწავლით: სხვადასხვა ხელსაწყოების ფუნქციებს და მათ გამოყენებას, ტყავის ხარისხიანობის დადგენას, ახალი დიზაინის მოფიქრებას და განხორციელებას. ასევე მომხმარებელზე გათვლილი პროდუქციის წარმოებას, ხელით კერვის სხვადასხვა საშუალებებს და მრავალფეროვანი დიზაინის შექმნას.
მუშაობის პროცესი მეტად საინტერესოა და საკმაოდ იოლი დასაუფლებლად. ასე რომ ნებისმიერ მსურველს აქვს შესაძლებლობა სრულიად დამოუკიდებლად შექმნას ნებისმიერი პროდუქტი.

მირიან თაბაგარი

არც თუ ისე დიდი ხნის წინ დაიწყო ამ სფეროში მუშაობა, მაგრამ მისი ნიჭიერების და მეგობრის დახმარებით ის უკვე საუკეთესოდ ფლობს საქმეს. ნატურალური ტყავისგან ამზადებს ხელნაკეთ ნივთებს, როგორებიცაა: საფულე, ჩანთა, ქამარი, სამაჯურები და სხვა აქსესუარები. ამჟამად მის პარტნიორთან ერთად 50მდე საკოლექციო ნამუშევარი აქვს, რომელთა რეალიზება ხდება სხვადასხვა მაღაზიების, ინტერნეტ საიტებისა და სოციალური ქსელის მეშვეობით. მათი საქმიანობა დღითიდღე უფრო საინტერესო და წარმატებული ხდება.

“Art.Cross”

პირველად 1997 წელს ავსტრიაში, ჩატარდა ქრისტიანული ხელოვნების ფესტივალი “მოიყვანე ხელოვნება სიცოცხლეში”, რომელიც ყოველწლიურად ტარდებოდა ცხრა წლის განმავლობაში. ფესტივალზე იმართებოდა მუსიკალური პროგრამები, თეატრალური ნომრები, ხდებოდა ტალანტების აღმოჩენა. ისინი იწყებდნენ პროფესიულ კარიერას და ერთად წერდნენ CD დისკებს. 2006 წელს კი ორგანიზატორებმა გადაწყვიტეს სხვა საქმისთვის მოეკიდათ ხელი.

ნინა კრამერი ამ გუნდში დასაწყისიდანვე იყო. იგი აკეთებდა დეკორაციებს, მაგრამ მისი ამ საქმეში მოღვაწეობა ფესტივალის შეწყვეტასთან ერთად გაჩერდა. ცოტა ხნის შემდეგ ნინას მეგობარმა ხელოვნების თერაპისტმა საბინ ბაუმგარტნერმა, იესო მიიღო. 2006 წლის შემდეგ საბინი პირველი იყო, ვინც მივიდა ნინასთან იდეით, რომ ხელახლა დაეწყოთ მოძრაობა“. ამ ხედვას ფესტივალის მასწავლებლებიც შეუერთდნენ.
ნინას ჰყავს დიდებული ლიდერთა და ექსპერტთა გუნდი ყველა სფეროში, როგორიცაა ივენთების ტექნიკა (ელა და კლაუდი ბოერნერები), ტექნიკური აღჭურვილობა (გრიგი ბორნერი), გრაფიკა და ვებგვერდები (ჯო რანკი და ჰანნა ედერი), მსახურება (ლოცვა: მიტილდე რუნკი და გუნდი!). მენეჯმენტი (მაქს მეიბაურლი), ასევე ბევრი მოხალისე და დაახლოებით 100 ქრისტიანი მასწავლებელი.

ფესტივალი განახლდა 2010 წელს და მას შემდეგ ყოველ მეორე წელს ტარდება. 2012 წელს ავსტრიაში ფესტივალს დაეწრო ნინო გოგსაძე, რომელმაც გადაწყვიტა საქართველოში მსგავსი პროექტის გაკეთება.
2014 წელს ისევ ავსტრიაში ჩატარდა, ხოლო 2015 წელს პირველად საქართველოში. ეს იყო შთაბეჭდილებებით სავსე და დაუვიწყარი დღეები.
2016 წელს ავსტრიაში საკმაოდ წარმატებით ჩაიარა ფესტივალმა.
2017 წელს საქართველო იყო მასპინძელი და საკმაოდ ნაყოფიერი, ხალისიანი და მეგობრული დღეები გვქონდა. 2018 წელს ისევ ავსტრიაში ჩატარდა ეს გრანდიოზული ფესტივალი, სადაც საქართველოდანაც დაესწრო 6 წარმომადგენელი. წელს კი არტ ქროსი ისევ საქართველოშია და გელით ყველა მსურველს!

Art
CROSS